



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ**  
**საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ**  
**საკითხთა კომისია**



დასკვნა:დ12.37222491

თარიღი:06/09/2022

**დ ა ს კ ვ ნ ა**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის ..... კომისიამ მიმდინარე წლის 6 სექტემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ძერიის მიერ წარმოდგენილი შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

კომისია აღნიშნავს, რომ საბიუჯეტო ცვლილებების პროექტის თანახმად გათვალისწინებულია განათლების დაფინანსების ზრდა 499,0 ათასი ლარით, მათ შორის სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსების ზრდა 337,0 ათასი ლარით; სპორტის სფეროს დაფინანსების ზრდა გათვალისწინებულია 173,0 ათასი ლარით, ხოლო კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობის დაფინანსება იზრდება 156,0 ათასი ლარით.

პროექტის თანახმად გათვალისწინებულია სოციალური დაცვის მიმართულებით დაფინანსების ზრდა 100,0 ლარით. კონკრეტულად, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ხელშეწყობა.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ახალგაზრდული პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებებს დაფინანსების მოცულობის უცვლელობის პირობებში.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე, მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

